ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 14
ბრძანება

13/02/2020

თამილა კეკელიძესთან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფუნქციების განაწილების შესახებ

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 ივნისის N25 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტთან გენდერული თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძესთან, განისაზღვროს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების ფუნქციები:
   1.1 გენდერული თანასწორობისათვის მიმართულ სპეციალური პროგრამებისა და ღონისძიებების პროექტების შემუშავება.
   1.2 საკრებულოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთ თანამშრომლობის გავითარების შესახებ, წინადადებების მომზადება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.
   1.3 საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებზე, გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით კანონთან შესაბამისობაში განხორციელება.
   1.4 მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისათვის მიმართულ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებში გენდერული

თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვის შესახებ წინადადებების შემუშავება.

1.5 სახელმწიფო უწყებებთან გენდერული თანასწორობის სფეროში, არსებული მდგომარეობის განხილვა, მოსმენა და პასუხის გაცემა.

1.6 საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის პროცესში ,,გენდერული თანასწორობის შესახებ'', საქართველოს კანონის განხორციელების მიზნით სხვა ქმედებების შესრულება.

1.7 საკრებულოს რეგლამენტით, დებულებით, და საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

1.8 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების დაცვა და შენახვა.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე